

## გამოკითხვაში მონაწილეობის წესები და პირობები

ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის (ბარტერის) განაცხადზე ხელმოწერით, თქვენ ადასტურებთ, რომ გაეცანით და ეთანხმებით წინამდებარე დოკუმენტში მოცემულ წესებსა და პირობებს.

### მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. გამოკითხვას ატარებს სს „ელექტროენერჯეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“ (შემდგომში „ესკო“) მისი ვებ-გვერდის - [www.esco.ge](http://www.esco.ge) მეშვეობით.
2. გამოკითხვაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ არარეზიდენტ იურიდიულ პირს (შემდგომში „დაინტერესებული მხარე“).
3. გამოკითხვაში მონაწილეობის გზით, დაინტერესებულ მხარეს ეძლევა შესაძლებლობა, გააკეთოს შეთავაზება ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის (ბარტერის) თაობაზე წინამდებარე დოკუმენტის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის ესკოში წარდგენით.

### მუხლი 2. გამოკითხვაში მონაწილეობის პირობები

1. შეთავაზება (წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული დოკუმენტაცია) დაინტერესებულმა მხარემ ესკოში უნდა წარმოადგინოს დალუქული კონვერტით, იურიდიულ მისამართზე - საქართველო, ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2, 0114, მე-5 სართული, ოთახი N2, საქმისწარმოების დეპარტამენტი.
2. გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, ესკოში წარმოადგინოს ოფიციალური წერილი (ელექტრონული ფოსტის სავალდებულო მითითებით) გამოკითხვაში მონაწილეობის თაობაზე და თან დაურთოს ქვემოთ მოცემული დოკუმენტაცია დალუქული კონვერტით:
  - ა) ესკოს მიერ დადგენილი ფორმით შევსებული და ხელმოწერილი განაცხადი ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის (ბარტერის) თაობაზე;
  - ბ) ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის (ბარტერის) თაობაზე განაცხადზე ხელმოწერი პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - ბ) ამონაწერი არარეზიდენტი იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ, გაცემული უფლებამოსილი ორგანოს მიერ;
  - დ) შესაბამისი ქვეყნ(ებ)ის ტექნიკური ოპერატორ(ებ)ის წერილობითი თანხმობა საქართველოში ელექტროენერჯის მოწოდების ან/და საქართველოდან ელექტროენერჯის მიწოდების თაობაზე განმცხადებლის მიერ შემოთავაზებული პირობების გათვალისწინებით;
3. შეთავაზებების წარდგენის ვადის დასრულების შემდგომ, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, ესკო განახორციელებს დაინტერესებული მხარეების მიერ გაკეთებული შეთავაზებების განხილვას დალუქული კონვერტების გახსნის გზით, რომელსაც დაესწრებიან

დაინტერესებული მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლები. დალუქული კონვერტების გახსნაზე დასწრების უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს შესაბამისი დოკუმენტაციით.

4. დალუქული კონვერტების გახსნისა და შეთავაზებების განხილვის ზუსტი დრო (დღე, ადგილი და საათი) დაინტერესებულ მხარეებს ეცნობებათ ესკოს ვებ-გვერდის მეშვეობით, ასევე შეტყობინების გაგზავნით დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ წერილში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

5. თუ დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი არ დაესწრება შეთავაზებების განხილვას, მაშინ ესკოს მხრიდან არ განხორციელდება ამ დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილი დალუქული კონვერტის გახსნა და მოხდება მისი დაბრუნება გამოგზავნისთვის.

6. წარმოდგენილი შეთავაზებების გაცნობა განხორციელდება დალუქული კონვერტების გახსნის გზით.

7. თითოეული დაინტერესებული მხარის მიერ გაკეთებული შეთავაზება და წარდგენილი დოკუმენტაცია ესკოსათვის არ წარმოშობს რაიმე სახის ვალდებულებას დაინტერესებული მხარის მიმართ. განაცხადის და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა დაინტერესებულ მხარეებს არ ანიჭებს ესკოს მიმართ რაიმე მოთხოვნის წარდგენის უფლებამოსილებას იმის გამო, რომ დაინტერესებული მხარე გამოეხმაურა მოთხოვნას შეთავაზების წარდგენაზე.

8. დამატებითი შეკითხვების თაობაზე შესაძლებელია დაკავშირება ესკოს იმპორტ-ექსპორტის დეპარტამენტთან შემდეგ ელექტრონულ მისამართ(ებ)ზე:

ა) [bbuturishvili@esco.ge](mailto:bbuturishvili@esco.ge)

ბ) [sabashidze@esco.ge](mailto:sabashidze@esco.ge)

9. ოფიციალური წერილი და განაცხადი ესკო-ში წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.

10. წარდგენილი შეთავაზებების/განცხადების წინამდებარე წესებსა და პირობებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, ესკო უფლებამოსილია, არ გაეცნოს მას.

11. დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია, ღია წერილითაც წარმოადგინოს შეთავაზება დალუქული კონვერტის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში, ესკო უფლებამოსილია, წარმოდგენილი შეთავაზება განიხილოს დაინტერესებული მხარის დასწრების გარეშე.

12. შემოთავაზებული წინადადებით დაინტერესების შემთხვევაში, ესკო უფლებამოსილია, დაიწყოს მოლაპარაკებები სახელშეკრულებო პირობების თაობაზე.